



x. კახიძის №15, თბილისი, საქართველო, 0102 ; ტელ: (995 32) 95 23 53; ფაქსი: (995 32) 92 32 11  
ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 95 23 53; Fax: (995 32) 92 32 11  
E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

№ გ-04/178-17

29.05 2017 წ.

ქ. რუსთავის საქალაქო  
სასამართლოს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

(საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით)

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავის შესაბამისად, გთხოვთ, მოგვაწოდოთ საჯარო ინფორმაცია, რომელიც მოიცავს 2014 წლიდან 2017 წლის მაისის ჩათვლით არსებულ მონაცემებს:

1. რამდენმა პირმა ისარგებლა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული უფლებით და მოგმართათ საჩივრით, როდესაც ზემდგომმა პროკურორმა არ დააკმაყოფილა პირის საჩივარი დაზარალებულად/დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობასთან დაკავშირებით;
2. რამდენმა პირმა ისარგებლა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული უფლებით და მოგმართათ საჩივრით, როდესაც ზემდგომმა პროკურორმა არ დააკმაყოფილა დაზარალებულის/დაზარალებულის უფლებამონაცვლის საჩივარი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით;
3. რამდენმა პირმა ისარგებლა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის პირველი პრიმა პუნქტით და მოგმართათ საჩივრით, იმ მოტივით, რომ ზემდგომმა პროკურორმა არ დააკმაყოფილა დაზარალებულის/დაზარალებულის უფლებამონაცვლის საჩივარი გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ.

გთხოვთ, სტატისტიკურ მონაცემებთან ერთად მოგვაწოდოთ გადაწყვეტილებების ასლებიც.

პატივისცემით,

ანა ნაცვლიშვილი

თავმჯდომარე

*ანა ნაცვლიშვილი*

საკონტაქტო პირი: გოგა ხატიაშვილი (577070539)